„ბუსტ ღილაკით“ სარგებლობის წესები და პირობები

1. ბუსტ ღილაკი (შემდგომში - ბუსტ ღილაკი) წარმოადგენს დამატებით სერვისს, რომლის გააქტიურების შემთხვევაში - 24 საათის განმავლობაში:

1.1 გაიზრდება ინტერნეტ მომსახურების სიჩქარე 100 მბ/წმ-მდე ან/და

1.2 გააქტიურდება IPTV მომსახურების პაკეტი - „პრემიუმი“.

2. ბუსტ ღილაკით სარგებლობის საფასური თითოეულ მომსახურებაზე შეადგენს 3 (სამი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. ბუსტ ღილაკი გააქტიურდება აბონენტის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 საათის განმავლობაში, ამ პირობებით განსაზღვრული წესით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ბუსტ ღილაკის გააქტიურების მომენტში აბონენტი სარგებლობს, ინტერნეტ და IPTV მომსახურებით, შესაძლოა ბუსტ ღილაკის ინტერნეტ მომსახურებაზე გააქტიურებით ვერ მიიღოს შეთავაზებული 100 მბ/წმ სიჩქარე, IPTV მომსახურებაში შემავალი კონკრეტული ტელეარხ(ებ)ის მიერ გარკვეული მოცულობის მქონე ტრაფიკის მოხმარების აუცილებლობის გამო. ასეთ შემთხვევებში, ოპერატორი გამოიყენებს საუკეთესო ძალისხმევას რათა ფაქტობრივად მიწოდებული ინტერნეტ მომსახურების სიჩქარე საშუალოდ არ იყოს 80 მბ/წმ-ზე ნაკლები.

5. ბუსტ ღილაკის დეაქტივაცია ხორციელდება ავტომატურად, ბუსტ ღილაკის მოქმედების 24 საათიანი ვადის ამოწურვისთანავე. აღნიშნული ვადის ამოწურვამდე, ბუსტ ღილაკის დეაქტივაცია და გაუქმება არ ხდება. ბუსტ ღილაკით სარგებლობის პერიოდში მომსახურების საფასურის დარიცხვის/ანგარიშსწორების პირობები მოქმედებს უცვლელი სახით.

6. ბუსტ ღილაკის გააქტიურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ მიმდინარე (მოთხოვნის) თარიღზე.

7. ბუსტ ღილაკის გააქტიურება შესაძლებელია:
   - ✓ ოპერატორის ცხელ ხაზზე დარეკვით (ხელშეკრულებით დადგენილი წესით); ან
   - ✓ ოპერატორის ოფისში მოთხოვნით; ან
   - ✓ პორტალით/აპლიკაციით; ან
   - ✓ ოპერატორის მიერ დადგენილი სხვა ნებისმიერი ფორმით (მაგ.: USSD, SMS), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. აბონენტს შეუძლია ბუსტ ღილაკის გააქტიურება თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა მოთხოვნას:
   - ✓ წარმოადგენს ფიზიკურ პირს;
   - ✓ სარგებლობს საცალო მომსახურების აბონენტებისათვის შეთავაზებული ინტერნეტ მომსახურების ან/და IPTV მომსახურების პაკეტით (არაინდივიდუალური (სტანდარტული) პირობებით);
   - ✓ ინტერნეტ მომსახურება/IPTV მომსახურება მას მიეწოდება ოპტიკური-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით;
   - ✓ არ აქვს შეზღუდული/შეჩერებული/შეწყვეტილი მომსახურების მიწოდება;
   - ✓ სააბონენტო ანგარიშზე აქვს შესაბამისი თანხა (მინიმუმ მომდევნო დღიურ სააბონენტოს საფასურს დამატებული ბუსტ ღილაკის გააქტიურების საფასური);
   - ✓ შესაბამის მომსახურებაზე არ სარგებლობს 100 მბ/წმ სიჩქარის მქონე ინტერნეტ მომსახურების პაკეტით ან/და IPTV მომსახურების პაკეტით - „პრემიუმით“.

9. ბუსტ ღილაკის გააქტიურებით შეთავაზებული 100 მბ/წმ სიჩქარის მქონე ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობა პირდაპირ და მკაცრად დამოკიდებულია აბონენტის მიერ გამოყენებულ სააბონენტო მოწყობილობა(ებ)ზე, მის/მათ ტექნიკურ მაჩვენებლებზე, შესაბამისად ოპერატორი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბუსტ ღილაკის გააქტიურებით მიღებული

ინტერნეტ მომსახურების სიჩქარე ნაკლებია 100 მბ/წმ-ზე შესაბამისი ტერმინალური მოწყობილობის პარამეტრებისა თუ შესაძლებლობების გამო.

10. ინტერნეტ მომსახურების სიჩქარის გაზომვა ხდება Lan შეერთების წერტილზე კაბელის მიერთებით (პირდაპირი ქსელური შეერთება), შესაბამისად ოპერატორი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბუსტ ღილაკის გააქტიურებით მიღებული ინტერნეტ მომსახურების სიჩქარე ნაკლებია 100 მბ/წმ-ზე, შესაბამისი (Wi-Fi) მოწყობილობის გამტარუნარიანობის გამო ან/და დაერთებული ტერმინალური მოწყობილობების რაოდენობის გამო.

11. იმ შემთხვევაში, თუ ბუსტ ღილაკით სარგებლობის პერიოდში აბონენტს არ მიეწოდებოდა ის მომსახურება, რომელზეც გააქტიურებულია ბუსტ ღილაკი და შესაბამისი 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში შეფერხებამ უწყვეტად შეადგინა სულ მცირე 2 საათი, მაშინ ოპერატორი აბონენტს, კომპენსაციის სახით შესაბამისი შეფერხებისთვის, სთავაზობს წყვეტის თითოეული საათისთვის, ბუსტ მომსახურების ღირებულებას დამატებული ბუსტ მომსახურების 1 საათის ღირებულების თანხის დაბრუნებას სააბონენტო ანგარიშზე. აღნიშნული საკომპენსაციო პირობა ამოქმედდება მხოლოდ აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში და ასეთი მოთხოვნა ოპერატორს უნდა წარედგინოს ბუსტ ღილაკის გააქტიურებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.